

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის

შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი _ ანზორ ფიფია
თანამდებობის დასახელება - კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება-რესპუბლიკელები“
კომისი(ებ)ის დასახელება - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისია, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) – N68.03 ეწერის ადგილობრივი
მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი
საანგარიშო პერიოდი 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის-20.10 -მდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) _ რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა _ 24
საკრებულოს სხდომებზე დასწრება _ 23

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა _ 36
კომისიის სხდომებზე დასწრება - 36

3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა _ 15
ფრაქციის სხდომებზე დასწრება _ 15

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები
ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;
ბ) ფახულანის გზის რეაბილიტაციისათვის ფინანსური ვალდებულებების აღება;
გ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანდაცვითი
და სოციალური პროგრამების თაობაზე“;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა
ქ.წალენჯიხაში უტუ მიქავას ძეგლის მიმდენარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების
მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია.

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა _ 15 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა
რაოდენობა _ 300

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, გზების რემონტი, საბავშვო ბაღის
რემონტი, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, სოციალური პრობლემები.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის,
დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

შიდა წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღი გადაიხურა ჩაუტარდა
ნაწილობრივი კაპიტალური რემონტი.

სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს გაეწიათ დახმარება გადასახური მასალით.
რამოდენიმე მოქალაქეს რომელთაც სჭირდებოდა სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა
თანადაფინანსება, ხოლო სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ნაწილი მომარაგდა
სათბობი მასალით-შემით.

ხორციელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის ცენტრის ყოველთვიური თანადაფინანსება 500 ლარით.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა ვარ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თვამჯდომარე. საანგარიშო პერიოდში ჩემი თავმჯდომარეობით ჩატარდა 19 კომისიის სხდომა, კომისიის სხდომაზე განხილულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მომზადდა სათანადო დასკვნები, რომლებიც შემდგომ განსახილველად გადაეცა საკრებულოს ბიუროს.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- რესპუბლიკელები“-ს წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში, ყველა პრობლემა რომელიც წამოჭრილიქნა ამომრჩევლებთან შეხვედრისას განხილულიქნა ფრაქციის სხდომაზე და მიეცა სათანადო რეაგირება.

აქტიურად ვმონაწილეობ ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის მუშაობაში. დავესწარი კომისიის მიერ ორგანიზებული 17 სხდომიდან 17-ივე სხდომას.

შეესების თარიღი- 29.10.2015წ.

წარდგენის თარიღი _ 30.10.2015 წ.

ხელის მოწერა

